ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2947072

ნომერი: AR1454750

თარიღი : 07.11.2016

გაცემის თარიღი : 15.11.2016

გაცნობის თარიღი : 15.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 14;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შმაგი ჩახვაშვილი პ/ნ 01004002560
- თბილისი გოგაშენის ქ. N 47

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

განაცხადის სტატუსი შუალედური

გადაწყვეტილება

თქვენი #AR1454750 07/11/2016 წ. განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ქუჩა ფეიქრები , N 14-ის მიმდებარე არსებულ ტერიტორიაზე ღია საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემას გაცნობებთ, რომ დროებითი სტატუსის ღია კაფე გულისხმობს არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის წინ მხოლოდ მაგიდა–სკამების, არსებობის შემთხვევაში ქოლგების და რიგი დეკორატიული

ელემენტების განთავსებას ისე, რომ დაცული იქნეს ფეხითმოსიარულეთა თავისუფალი გადაადგილებისთვის გამოყოფილი ტროტუარის ზომა მინიმუმ 2.0 მ–მდე. აქედან გამომდინარე წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ფოტომონტაჟი.

ასევე, დამატებით უნდა წარმოადგინოთ საზოგადოებრივი კვების ობიექტის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა–ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საიდანაც მოხდება ღია კაფესთან მომსახურება.

მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოსადგენად. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.